საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 147 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2019, 470000000.10.003.021688) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ დანართ №8-ის („დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“) მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში დასაშვებია გატარებულ ორსულთა მოთხოვნილი რაოდენობის 10%-იანი ცდომილება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, პირს/დაწესებულებას

დამატებით მოეთხოვება, დაწესებულების მეან-გინეკოლოგებმა, უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში მონაწილეობის საშუალებით, 2020 წლის 1 სექტემბრამდე დააგროვონ არანაკლებ 12 უსგ კრედიტქულა ანტენატალური მეთვალყურეობის მიმართულებით. კრედიტქულების დაგროვებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ პროფილური, აკრედიტებული მოკლევადიანი (1-10 დღე) სწავლება/ტრენინგები, რომლებიც აღიარებულია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**